# ციფრული თაობა და მასწავლებელი

**დარეჯან გელაძე, ია მოწყობილი, შორენა მესხიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

darejan.geladze@bsu.edu.ge, ia.motskobili@bsu.edu.ge, shorena.meskhidze@bsu.edu.ge

**რეზიუმე**

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ახალი ციფრული ეპოქა შექმნა, რომლის საფუძველზე მოძიებული ინფორმაცია დღევანდელ ცხოვრებაში გვევლინება როგორც განძი, ხოლო ინფორმაციული ექნოლოგიები - ქვეყნის განვითარების მთავარი ინდიკატორი. მსოფლიოში გლობალური ინფორმაციული სისტემების შექმნა სწრაფად მიმდინარეობს და მიზანია რეალური დროში ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის ინტერნეტ-სივრცეში ინფორ-მაციის მიწოდება გახადოს სანდო.

თანამედროვე ტექნოლოგიები მასწავლებელს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესი ინტერაქტიულად და საინტერესოდ წარმართოს, უფასო და მარტივად მოსახმარი ციფრული ინსტრუმენტები ყველასთვის ხელმისაწვდომი და აღქმადი გახადოს, რომლისთვისაც მხო-ლოდ კომპიუტერული სისტემა და ინტერნეტთან კავშირია საჭირო, ხოლო არამიზნობრივ გამოყენებას ახლავს გამოწვევები და საფრთხეები, კერძოდ, ინფორმაციული წიგნიერების დეფიციტი, ინფორმაციის მოძიება, გავრცელებასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქ-ტორები, პირადი მონაცემების ხელყოფა და სხვა.

ციფრულ სამყაროსთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია თანამედროვე მასწავლებელს გააჩნდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უსაფრთხო და ეთი-კური მოქმედებისკენ აუცილებელი კომპეტენციები, რაც ციფრულ მოქალაქედ აქცევს.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექნოლოგიები, უსაფრთხოება, უწყვეტი განათლება, კომპეტენცია

## 1. შესავალი.

დღეს წარმოუდგენელია ზრუნავდე სკოლის განვითარებაზე ინოვაციური ტექნო-ლოგიების გარეშე. ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში მნიშვნელოვანი ადგილი ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უკავია, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს მოტივირებულს, ხალისიანს, საინტერესოს, ეფექტურს, ხელმისაწვდომს და მოქნილს ხდის, ხელს უწყობს საგნებს შორის კავშირს, მოსწავლეებს ამზადებს მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ეხმარება განივითარონ ციფრული კომპეტენციები, ღირებულებები, დამოკიდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს მზად-ყოფნას გაუმკლავდნენ გამოწვევებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვანია უნივერსალური სასწავლო გარემოს, სრულფასოვანი საგაკვეთილო მოდელის შექმნისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისთვის. ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილი გულისხმობს სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას, ციფრული საგანმანათლებლო რესურსების, სტრატეგიების, ინსტრუმენტების გამოყენებას სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით და წარმოადგენს უწყვეტი განათლების სათავეს.

## 2. ძირითადი ნაწილი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლის ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები უზრუნველყოფს ციფრული ტექნოლოგიების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ განათლებაზე.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, ციფრული ტექნოლოგიების ძირითადი ცნებები და ოპერაციები, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ორგანიზება, შენახვა, გავრცელება, კვლევა, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობა და შეზღუდვების გაცნობიერება; ინტერნეტის და ქსელური ტექნოლოგიების განვითარების ზეგავლენა საზოგადოებაზე; ციფრული საშუალებების მართვა, (ტექნიკური კომპეტენციები) მასში შედის კომპიუტერული მოწყობილობის ჩართვა, გადატვირთვა, გამორთვა; ონლაინ რესურსების შექმნა და მიზანმიმართული გამოყენება. ციფრული სასწავლო მასალის, კერძოდ ტექსტური, ვიდეო- აუდიო ფაილის, მულტიმედიური პრეზენტაციების, საგანმანათლებლო თამაშების, ვებ-გვერდის-ბლოგის შექმნა, ცხრილების, დიაგრამების, ანიმაციების, კომიქსის შექმნა, ვებ-პუბლიკაციების შესაქმნელი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, ვებ-სივრცეში არსებული რესურსების, ონლაინ რედაქტორების და საგანმანათლებლო მასალების გამოყენება, სხვადასხვა ტიპის ციფრული მასალების ეფექტიანი პრეზენტაცია, სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა, სამომხმარებლო პროგრამების გამოყენებით მარტივი პროცესების ავტომატიზაცია, ციფრული მოდელების და სიმულაციების გამოყენება, ღია საგანმანათლებლო რესურსების მოძიება, ასევე ციფრული რესურსების სასწავლო ამოცანისადმი ადეკვატურობისა და სარგებლიანობის შეფასება, ციფრული რესურსების მისადაგება სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობისადმი.

მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს ინტერნეტში და სოციალურ ქსელში მუშაობის ეთიკური ნორმები, გააცნობიეროს ინტერნეტის სტრუქტურა და ინტერნეტში მონაცემთა მიღება-გავრცელებასთან დაკავშირებული ცნებები, ტერმინები და მონაცემთა გაცვლის პროტოკოლები, დაიცვას საკუთარი და სხვისი პერსონალური ინფორმაცია, ციფრული რესურსები გამოიყენოს უსაფრთხოების, კანონისა და ეთიკურობის დაცვით, პატივისცემა გამოიჩინოს საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების მიმართ, შეძლოს ღია საგანმანათლებლო რესურსების გარჩევა და მათი გამოყენება საკუთარი რესურსების გამოქვეყნებისას, ციფრული საშუალებების გამოყენებით შეძლოს კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო ონლაინ ფორუმში, შეძლოს საგანმანათლებლო აპლიკაციების გამოყენება, ეფექტიანი კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების ფლობა-ელექტრონული ბიბლიოთეკის, ენციკლოპედიის, საცავის გამოყენება.

ციფრული ტექნოლოგია მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს ჩაატაროს ონლაინ კვლევა და მოახდინოს მოძიებული მასალის სისტემატიზაცია, დამუშავება და ანალიზი, კომპიუტერული ქსელების ტიპებს შორის ნავიგაციისა და ინფორმაციის გაცვლა, საგანმანათლებლო საძიებო სისტემების ფლობა,

ტექნოლოგიები მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს ციფრული ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამაზე დაყრდნობით დაგეგმოს სწავლების ინოვაციური მეთოდებით გამდიდრებული სასწავლო პროცესი, თითოეული აქტივობის მსვლელობის მოახდინოს ეტაპების შერჩევა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული თანამშრომ-

ლობითი პროექტის ტიპის დავალებების მომზადებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინსტრუმენტების რესურსების შერჩევა და მომზადება.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელი ითვალისწინებდეს მოსწავლის ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოცდილებას, ციფრული ტექნოლოგიები კი საშუალებას იძლევა სასწავლო მიზნისთვის მოიძიოს და შექმნას ისეთი სასწავლო გეგმა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, კერძოდ: საგანმანათლებლო ელექტრონული თამაშები, კომიქსი, ელექტრონული ქვიზი, სიმულაცია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა აკადემიურ უნარებზე, პატარებს სწავლა შესაძლოა ხშირად დამღლელად მოეჩვენოთ, მაგრამ, როგორც კი ჩნდება თამაშის ელემენტები, გაცილებით დიდ ინტერესს იჩენენ და მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში იზრდება, ხდებიან უფრო ყურადღებიანი და კონცენტრირებული, რაც ეხმარება შესასწავლი მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებაში. რადგან მოსწავლეთა ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია, ეძლევათ საშუალება მიაღწიონ სასურველ მიზნებს მხიარული და ეფექტური გზით. მსგავსი ტიპის აქტივობების დაგეგმვა განუვითარებს ციფრულ წიგნიერების უნარების, შეეძლებათ ონლაინ კომუნიკაციის მიზანმიმართული გამოყენება და ონლაინ ეთიკის დაცვა.

მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი 1-1-ზე კომპიუტერული ტექნოლოგიის ფლობა და გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ელექტრონული სწავლების თავისებურებებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ დავალებებს და ხელს უწყობ დამოუკიდებელი სწავლების მოტივირებას. შეუძლია ციფრული ინსტრუმენტების საშუალებით შექმნას ვირტუალური სასწავლო გარემო შეფასებისა და უკუკავშირისთვის.

ინფორმაციულ საკომუნიკაციო საშუალებები და ონლაინ სწავლების გამოყენება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს განვითარდეს პროფესიულად, შექმნას და განაახლოს ელექტრონული პორტფოლიო, სადაც ნათლად წარმოაჩენს საკუთარ პროფესიულ ზრდას, ახდენს ცოდნის დოკუმენტირება-განახლებას, კონფერენციასა და ტრენინგში ჩართულობას, ახალი ტექნოლოგიური საშუალებებისა და ისტ-ზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების რეგულარულ დაუფლებას, საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებას და მორგებას, შესაძლებლობას აძლევს სწრაფად და მარტივად იცხოვროს, უფრო დახვეწილი გახადოს მისი შემოქმედებითობა და მუდმივად იყოს ჩართული სიახლეების ძიებაში.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურზე, რადგან მოსწავლეებს უფრო მეტად განვითარებული აქვთ ვიზუალური აღქმის უნარი, საჭიროებენ ინოვაციურ მიდგომებს, ეხმარება საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნაში. სწორედ სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება განსაზღვრავს მოსწავლის შემდგომ აკადემიურ წარმატებას და ხელს უწყობს ციფრულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

## 3. დასკვნა

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს ციფრულ სამყაროში საკუთარი და სხვისი უფლებების გააზრება, კომუნიკაციისთვის და თანამშრომლობისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა უსაფრთხოების წესების დაცვითა და მათი პასუხისმგებლობით გამოყენება, გაითვალისწინოს ინტელექტუალური საკუთრება, დაიცვას საავტორო უფლებები, გააცნობიეროს საკუთრების უფლება ციფრულ

ნამუშევარზე, მოსწავლემ გაიაზროს მისი გამოყენების სწორი და არასწორი შესაძლებლობები. რაც ხელს შეუწყოს მათ ინტეგრირების უნარებს სასწავლო, საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ აქტივობებში.

ციფრული კომპეტენციების ფლობა მასწავლებელს დაეხმარება გახდეს არა მხოლოდ ცოდნის გამზიარებელი, არამედ გეზის მიმცემი, თანამგზავრი-იმ თაობის, რომელიც ციფრულ სამყაროში სწრაფად იზრდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **ბოხუა ე,** „საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლებასა და მეცნიერებაში“, მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2023;
2. **გლანცი ჯ,** „სწავლება 101: საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის“, თბილისი, 2016;
3. **გონაშვილი რ.** „რატომ არის საჭირო სწავლებაში ტექნოლოგიების ინტეგრირება“. მოძიებულია 15 სექტემბერი, 2025, https://mastsavlebeli.ge/?p=3987 ;
4. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მოძიებულია 12 სექტემბერი, 2025, https://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/informaciuli%20standarti.pdf
5. **დგებუაძე მ, გიორგაძე მ.** „მულტიმედიური საშუალებების გამოყენების როლი სწავლების პროცესში“. „განათლება, კვლევა პრაქტიკა - შრომები“ . საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თელავი, 2015;
6. **იავიჩი მ, იაშვილი გ,** „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისთვის, ასაკი: 6-11 წელი“ , გამომცემლობა „World Vision” , თბილისი., 2020;
7. **კავთუაშვილი მ.** „ონლაინ ბავშვობის საფრთხეები“, მოძიებულია 15 სექტემბერი, 2025, https://mastsavlebeli.ge/?p=20285 ;
8. **ლობჟანიძე ს, სიხარულიძე მ, ურჩუხაშვილი გ,** „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში - გამოწვევები და დანერგვის გზები“, მონოგრაფია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2024;
9. **ნიქაბაძე ვ, ერაძე მ,** „სასწავლო პროცესის ტრანსფორმაცია ტექნოლოგიების გამოყენებით - პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის“, გამომცემლობა „World Vision” , თბილისი, 2022;
10. **ცაგურია ზ**, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, მასწავლებლის გზამკვლევი, თბილისი, 2015;


# Digital generation and teachers


**Darejan Geladze, Ia Motskobili, Shorena Meskhidze**

Batumi Shota Rustaveli State University

darejan.geladze@bsu.edu.ge, ia.motskobili@bsu.edu.ge, shorena.meskhidze@bsu.edu.ge


## Abstract


Digital technologies have created a new digital era, on the basis of which the information sought appears as a treasure in today's life, and information technologies are the main indicator of the country's development. The creation of global information systems in the world is proceeding rapidly and the goal is to make the provision of information in the Internet space to any interested person in real time

reliable.

Modern technologies allow the teacher to conduct the learning process interactively and interestingly, to make free and easy-to-use digital tools accessible and understandable to everyone, for which only a computer system and an Internet connection are required, while inappropriate use is accompanied by challenges and threats, in particular, the lack of information literacy, information search, factors related to distribution and use, personal data infringement, etc.

When interacting with the digital world, it is important for a modern teacher to have the necessary competencies for the safe and ethical use of information and communication technologies, which makes him a digital citizen.

**Keywords**: Technology, Secure, Digital, Continuous, Competence